საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №06

ქ. ბათუმი 23 აპრილი, 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-10 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N2 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების დანართი 1-ის (შინაგანაწესის) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. წინამდებარე შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების, თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის, ბსუ–ს წესდების, საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად და ვრცელდება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" (შემდეგში ,,უნივერსიტეტი", ან ,,ბსუ'') პერსონალზე, მოწვეულ სპეციალისტებზე/მასწავლებლებზე, სტუდენტებზე, პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებზე (შემდეგში მსმენელები)''.

ბ) შეიცვალოს გადაწყვეტილების დანართი 1-ის (შინაგანაწესის) მე-11 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. ,, თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თამბაქოს მოწევა აკრძალულია უნივერსიტეტის ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე (მათ შორის ეზოში).

2. ბსუ-ს ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით ,, თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების, დარღვევების გამოვლენა/აღკვეთის, პასუხისმგებლობის სათანადო ზომების განსაზღვრის (უნივერსიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში) კონკრეტული წესები (მათ შორის რეგულაციების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული/პირი) განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით''.

3. ბსუ-ს ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებას ,, თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების დარღვევებზე სათანადო რეაგირებით ახორციელებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც უფლებამოსილია სამართალდამრღვევის/ების მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებიდან ერთ-ერთი ''.

გ) შეიცვალოს გადაწყვეტილების დანართი 1-ის (შინაგანაწესის) მე-12 მუხლის სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი სხვა აკრძალვები ''

დ) გადაწყვეტილების დანართი 1-ის (შინაგანაწესის) მე-16 მუხლის მესამე პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ზ) მოსწია თამბაქო უნივერსიტეტის ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე (მათ შორის ეზოში).

ე) გადაწყვეტილების დანართი 1-ის (შინაგანაწესის) მე-20 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ვ) მოსწია თამბაქო უნივერსიტეტის ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე (მათ შორის ეზოში).

2. წინამდებარე ცვლილებები ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 მაისიდან .

3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**